საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/319 " 5 " დეკემბერი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის მ. ცაცუას გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

2017 წლის 2 დეკემბერს, 65 წლის ასაკის მიღწევის გამო, თანამდებობიდან გათავისუფლდა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ანჟელი ხუროძე. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 11^1 მუხლის შესაბამისად, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვერჩელის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განსაზღვრულია 1 მოსამართლით. შესაბამისად, ა. ხუროძის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ აღნიშნულ სასამართლოში არც ერთი მოსამართლე აღარ ახორციელებს უფლებამოსილებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვერჩელის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის არყოფნის გამო მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს მოსამართლეებს და მიღებულ იქნა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მანუჩარ ცაცუას თანხმობა მივლინებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული მივლინება არ იწვევს მოსამართლის სამუშაო ადგილის ცვლილებას, რადგან გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო განთავსებულია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე მანუჩარ ცაცუა მივლინებულ იქნეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2017 წლის 6 დეკემბრიდან 2018 წლის 6 დეკემბრამდე.

2. მანუჩარ ცაცუამ, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი